კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2019 წლის ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე

სპორტი და ახალგაზრდობა

წარმოგიდგენთ კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშს და შევეხებით იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელთაც უშუალოდ ორგანიზებას უწევს ჩვენი სამსახური, აგრეთვე ზოგადათ მოგახსენებთ, იმ ღონისძიებებზე , რომლებსაც ახორციელებენ აღნიშნული მიმართულების ორგანიზაციები.

2016 წლიდან სამსახური აქტიურად არის ჩართული სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარებაში. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზატორები არიან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ფედერაცია. ეს გახლავთ ყველაზე მასშტაბური სპორტული პროექტი, რომელსაც ორგანიზებას უწევს ჩვენი სამსახური.

2019-2020 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლემ . წარმოგიდგენთ იმ სახეობებს, რომლებშიდაც მივიღეთ მონაწილეობა:

1. გეზრბენი - გოგონები, ვაჟები. 14 სკოლა, 90 მონაწილე.
2. მინი ფეხბურთი - ვაჟები. 8 სკოლა, 96 მონაწილე.
3. კალათბურთი - გოგონები, ვაჟები. 9 სკოლა, 64 მონაწილე.
4. მხიარული სტარტები - 4 სკოლა, 48 მონაწილე.
5. ფრენბურთი - 6 საჯარო სკოლა, 24 მონაწილე.
6. ბადმინტონი - 6 საჯარო სკოლა, 24 მონაწილე.
7. მაგიდის ჩოგბურთი - 7 საჯარო სკოლა, 28 მონაწილე.
8. ხელბურთი - 2 სკოლა, 24 მონაწილე.

პროექტის ფარგლებში ტრანსპორტირება დაფინანსდა ჩვენი სამსახურის მიერ და შეძენილი სპორტული ფორმები ტრადიციულად საჩუქრად გადაეცემათ ბავშვებს.

ტურნირის შემდეგი ეტაპების ჩატარება ვეღარ მოხერხდა პანდემიის გამო. ტურნირები უნდა ჩატარებულიყო მარტის ბოლოდან მაისის ჩათვლით.

1 ივნისს ჩვენი სამსახურის ორგანიზებით, ახალგაზრდების ინიციატივით კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა ,,ახალგაზრდული ფესტივალი“. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა რამოდენიმე ღონისძიება, მათ შორის ინტელექტუალური თამაში ,,რა?სად? როდის?“ , ჩემპიონატი კალათბურთში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარდა საბავშვო კონცერტი. საღამოს გაიმართა კონცერტი ახალგაზდების მონაწილეობით.

ჩვენი სამსხურის დაფინანსებით ბავშვებისათვის მოწვეული იყო ანიმაციური თეატრი ,,მოდუსი“.

7 ივნისს, ჩატარდა ტურნირი მიზანში სროლაში. მონაწილეობა მიიღო 11 საჯარო სკოლის 60-მდე მოსწავლემ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

10 ივნისს, ბორის სკოლა-პანსიონის ბავშვები დაესწრენ ქ.ქუთაისში ნიღბების თეატრის სპექტაკლს ,,პეპი გრძელი წინდა“. ტრანსპორტირება განახორციელა ჩვენმა სამსახურმა. 2019 წელს, ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი მოიპოვა ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ. ამ გამარჯვებისათვის მუნიციაპლიტეტის მერიამ ფულადი ჯილდო გადასცა ზაურ ბერაძეს.

13 ივნისს ჩატარდა სამოყვარულო ლიგის ჩემპიონატი ფეხბურთში. მონაწილეობა მიიღო ვარძიისა და ბორითის ადმინისტრაციული ერთეულების ახალგაზრდებმა.

21 ივნისს ჩატარდა ოლიმპიური გარბენი სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. მონაწილეები დაჯილდოვდნენ ფედერაციისაგან გამოგზავნილი საჩუქრებით.

ივლისის თვეში გაიმართა სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

20 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით მონაწილეობა მივიღეთ იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის თასის გათამაშებაზე მინი ფეხბურთის ჩემპიონატში.

9 და 12 აგვისტოს მიმდინარეობდა ჩემპიონატი მიზანში სროლაში. მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

30 აგვისტოს ჩატარდა ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,ვახანობა“. გაიმართა შეჯიბრი დოღში და ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ჩვენი სამსახურის მიერ.

სექტემბერს სოფ. ხიდარში გაიმართა დოღი. მონაწილეთა დაჯილდოება მოხდა კულტურის სამსახურის მიერ.

27 სექტემბერს, ევროპის სპორტის კვირეულის ფარგლებში გაიმართა მარათონი. გამარჯვებულებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

4 ოქტომბერს, აღინიშნა პედაგოგთა პროფესიული დღე.ამ დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით 26 პედაგოგი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით ჩვენი სამსახურის მიერ.

5 ოქტომბერს, პედაგოგთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით გაიმართა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა თვითშემოქმედების საღამო. მონაწილეები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

5 ოქტომბერს სოფ. ზვარეში გაიმართა დოღი. გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები.

11 ოქტომბერს პირველად ჩვენი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა ჩემპიონატი სპორტინგში, სადაც მოწვეული იყვნენ ამ დარგის ინსტრუქტორები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. ჩემპიონატი ჩატარდა სოფელ ხიდრის ტერიტორიაზე.

უკვე რამოდენიმე წელია კულტურის სამსახური მხარს უჭერს გარემოს დაცვის საგანმანათლებლო პროექტს ,,ნიკო კეცხოველი“, 2019 წლის 18 ოქტომბერს კულტურის სამსახურის დაფინანსებით მოხდა პროექტში ჩართული 8 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება ფოთში პალიასტომის ტბაზე.

26 ოქტომბერს ზესტაფონის სოფ. ცხრაწყაროში გამართულ ფესტივალ ,,სულიკო 2019“-ში ჩვენმა მონაწილემ ნინო რამიშვილმა აიღო მეორე ადგილი.

24 ოქტომბრიდან 6 დეკემბრამდე მიმდინარეობდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში გამართული სპორტული ღონისძიებები: მხიარული სტარტები, მინი ფეხბურთი, კალათბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ბადმინტონი. სულ მონაწილეობა მიიღო 400-მდე ბავშვმა.

29 ოქტომბერს გაიმართა საგანმანათლებლო პროექტი ,,ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლამ. პროექტის დაფინსება და გამარჯვებულთა დაფინანსება მოხდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

დეკემბრის დასაწყისიდან დაიწყო მზადება საახალწლო ღონისძიებებისათვის.

საახალწლო ღონისძიებები ნუსხა

1. ხარაგაულის თეატრის სპექტაკლი ,,ინდაური ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“.

1. 17 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით - საახალწლო კონცერტები ბაღების გაერთიანებაში- 12 სთ.

2. 23 დეკემბერი - პროექტი ,,ვიცნობდეთ ხარაგაულს'' (ფინალი) 13 სთ კინოთეატრში.

3. 24 დეკემბერი - ხარაგაულის თოჯინების თეატრის საახალწლო სპექტაკლი სოფელ თეთრაწყაროში 11 სთ.

4. 25 დეკემბერი - სამუსიკო სკოლის კონცერტი 15 სთ.

5. 26 დეკემბერი - სკოლების კარნავალი - 15 სთ, კინოთეატრის შენობა.

6. 27 დეკემბერი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კონცერტი - 15 სთ, კინოთეატრში.

7. 30 დეკემბერი - კულტურის და ხელოვნების ცენტრის კონცერტი - 16 სთ, კინოთეატრში.

8. 31 დეკემბერი - ანიმაციური გმირების საახალწლო შოუ - 17 სთ.

9. 31 დეკემბერი - კონცერტი ღია ცის ქვეშ, მურაბების ფესტივალი - 18 ს

2020 წლის თებერვალში, მონაწილეობა მივიღეთ ქ. ქუღაისში მესხიშვილის სახელობის თეატრში ფესტივალ ,,ამღერებული იმერეთი".

დედის დღესთან დაკავშირებით ფასიანი საჩუქრები გადავეცით სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მომუშავე მრავალშვილიან დედებს.

მთელი წლის განმავლობაში ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა მრავალი საინტერესო ღონისძიება. ტრადიციულად ჩატარდა პროექტები ,,ჩვენ ვხატავთ ანიმაციას', მოხატული კერამიკა", ,,ჩემი პატარა ხელებით", ,,მოხალისე გიდები".

5 ივლისს, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში, ქანდაკებების, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია 150-მდე ექსპონატი სხვადასხვა თაობის მხატვართა და მოქანდაკეთა შესრულებით.
◆ პროექტი, რომლის მიზანია კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული ცენტრის შექმნა, მხატვარ ლევან ცუცქირიძის ვაჟის, მამუკა ცუცქირიძის იდეით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)ი.პ კულტურის და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა.
ტრადიციულად აღინიშნა მუზემების ღამე, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ეროვნული სამოსის დღე.

მუზეუმს ესაჭიროება ფართი ფონდებისათვის. იმის გამო, რომ მოხდა მუზეუმის გამდიდრება ექსპონატებით, აუცილებელი გახდება გალერიის მომატება. აგრეთვე საჭიროა ტემპერატურული რეჟიმის დაცვა.

აქტიურ მუშაობას ეწევა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი, რომელმაც არაერთი სპექტაკლი გამართა არა მარტო ხარაგაულში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. წელს ლიტერატურული სპექტაკლი ,,შიშველი სატევარი", მერაბ კოსტავას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ნაჩვენები იქნა სოფ. ბორითში და თბილისში.

ოქტომბრის თვეში სოფ. ღორეშაში გაიმართა სამხატვრო პლენერი ,,გამა - 2019".

12 დეკემბერს გაიმართა პრემიერა დოკუმენტური ფილმის ,,ფარცხნალი კორიფეთა სამკვიდრო".

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის თეატრმა 8 ივნისს მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ იმერეთის თეატრალურ ფესტივალში. წარმოდგენილი იყო ოთარ აბაშიძის სახელობის სპექტაკლი ,,ხორუმი ქართული ცეკვაა".

20 ივნისს, ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა დაჯილდოება და სპექტაკლი დაჯილდოვდა სამ ნომინაციაში. მათ შორის მთავარი ნომინაცია საუკეთესო რეჟისურა. სპექტაკლი ნაჩვენები იყო 4-ჯერ. მათ შორის თბილისში.

ივლისის თვეში თეატრი მიწვეული იყო ლიმბაჟის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ნაჩვენები იქნა სპექტაკლი ,,ორნი". (რეჟ. ი.ჩხეიძე).

წელს 120 წლის გახდა ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი. თეატრი ემზადებოდა იუბილესათვის, რომელიც გადაიდო.

10 წელია უკვე, რაც ხარაგაულში ფუნქციონირებს **თოჯინების თეატრი,** რომელიც აქტიურად მუშაობს და ატარებს სპექტაკლებს სოფლებში. წელსაც სპექტკალები გაიმართა რამოდენიმე სოფელში.

ხარაგაულელი ბავშვების უმრავლესობა გაერთიანებული არიან ქორეოგრაფიულ წრეებში, სახელოვნად გრძელდება ქორეოგრაფიული ტრადიციები ხარაგაულში. ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ფესტივალებში.

ივლისის თვეში ანსამბლი ,,უბისი" იმყოფებოდა ქ. ბაქოში ქორეოგრაფიულ ფესტივალზე, სადაც მათი წარმატებული გამოსვლა აღინიშნა სპეციალური დიპლომით.

კულტურის ცენტრთან მუშაობს ვაჟთა ვოკალური გუნდი (ხელმძღვანელი მადონა გაფრინდაშვილი) და ფოლკლორული ჯგუფი ,,უბისი " (ხელმძღვანელი ზურაბ გოგოლაძე) .

ივნისის თვეში ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ოდილამ" მონაწილეობა მიიღი ფესტივალში ,,არტ-გენი".

ახალი სასწავლო წლიდან გაიხსნა საბალეტო კლასი და სარეპეტიციო დარბაზი.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაერთიანებულია 25 საბიბლიოთეკო განყოფილება. ყოველწლიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება. ყოველწლიურად საბიბლიოთეკო ასოციაცია 500 ლარიან ვაუჩერს აძლევს ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდის გასაახლებად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან წიგნადი ფონდი არის მოძველებული და საჭირო არის დამატებითი თანხები.

უკვე რამდენიმე წელია ცენტრალური ბიბლიოთეკის უკან იგეგმება სკვერის მოწყობა, სადაც ზაფხულობით გაიმართება ღონისძიებები.შეიქმნება კიდევ ერთი კულტურული სივრცე. კარგი იქნება მომავალში, თუ გამოიყოფა თანხა ამ პროექტისათვის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს 14 დასახელების წრე და მუსიკალური სტუდია ,,ჰარმონია''. წრეებში სახელობითი სიით ირიცხება 266 ბავშვი. წრეები ფუნქციონირებს როგორც დაბაში ასევე სოფლებში.კერძოდ: მარელისი,ლეღვანი,ბორითი და ვერტყვიჭალა.

წლის განმავლობაში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში:13 ივნისს ხალხური სიმღერის წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისში ფოლკლორული სიმღერის ფესტივალზე ეროვნულ სასახლეში.

არდადეგების პერიოდში განხორციელდა ახალი პროექტი მოსწავლეთა სახლში ,,საზაფხულო ბანაკი 2019".

ესაჭიროებათ დახმარება გათბობის სისტემის მოწესრიგებაში.

უკვე 62 წელია ხარაგაულში კლასიკური მუსიკის განვითარების საქმეს ემსახურება შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა. სკოლაში სწავლობს 100-მდე მოსწავლე, ყოველ წელიწადს სკოლა მონაწილეობას ღებულობს სხვადსახვა მუსიკალურ ფესტივალებში და ყოველთვის წარმატებით გამოდიან მათი მოსწავლეები.

შარშან მონაწილეობა მიიღეს სენაკში მუსიკის აკადემიის მიერ გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე და ქ. ბორჯომში გამართულ მუსიკალური ფესტივალზე.

2019 წლის ნოემბერში ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლე მარიამ ხაჩიძე სკოლის დირექტორ ლალი ალექსიძესთან ერთად იმყოფება ლიეტუვის ქ. ტაურაგეში საიუბილეო კონცერტზე "მუსიკალური შემოდგომა" .ქართველი მონაწილის
შეასრულებამ ლიტველი მსმენელის დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა .

სამუსიკო სკოლაში უკვე ორი წელია რაც ფუნქციონირებს მუსიკალური ბენდი ,,გრავე", რომელმაც პირველად 2019 წელს სარვამარტოდ გამართა კონცერტი და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი"- ში

ფუნქციონირებს სპორტის 13 სახეობა და 27 სპორტული სექცია.

სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 450 მოსწავლე.

ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“ -მა მიიღო მონაწილეობა 92 სპორტულ ღონისძიებაში, როგორც გასვლით, ასევე

ადგილობრივ ტურნირებში.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-მა აღადგინა ნოდარ

ახალკაცის გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში. აგვისტოს თვეში.

სექტემბრის თვეში მასშტაბური იყო თამაზ გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს : ჭიათურის, საჩხერის, თერჯოლის, ბაღდათის, ბორჯომის, ხაშურის, გორის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გუნდებმა, მონაწილეთა რაოდენობა 120 სპორტსმენით განისაზღვრა.

ნოემბრის თვეში, გასულ წელს ასევე ჩატარდა საოჯახო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა.

გაიმართა ჯომარდობა მდინარე ჩხერიმელაზე, მონაწილეობა მიიღი 32-მა ახალგაზრდამ.

ივნისის თვეში, გაიმართა ხატვის კონკურსი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაწილეობით. კინოთეატრის ფოიეში მოეწყო ნამუშევრების გამოფენა და გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

აგვისტოს თვეში მოეწყო კარვების ბანაკი 80 ბავშვზე სოფელ ლეღვანში.